726/2

გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

„სამშობლო"

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 9 (265). გამოცემის მე-15 წელი
1971 წლის 7 მაისი

როდესაც „სამშობლოს" საზღვარგარეთელი მკითხველი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერს მიიღებს, საქართველოში დიდი ზეიმი იქნება გაჩაღებული. მომავალ კვირას, 12, 13, 14, 15 მაისს, ქართველი ხალხი სიხარულით აღნიშნავს თავის ყველაზე დიდ, ჰეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

ამ დიდ ზეიმს ჩვენთან ერთად გაიზიარებს მთელი საბჭოეთი, ჩვენი სამშობლოს ყველა გულწრფელი მეგობარი და გულშემატკივარი, სადაც, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდეს იგი.




გალაკტიონ ტაბიძე

ერაჭვალქვეშ ერი გუგუნებდეს ხმა

მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა
„მუმლი მუხასა" და „ლილეოსი",
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა —
ეს სიმღერაა საქართველოსი!
მოაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური,
გესმის არაგვის ხმა საცნაური?
გესმის თერგის და მტკვარის ხმაური? —
ეს სიმღერაა საქართველოსი!
მიარღვევს რისხვა აწყვეტის ავის,
რომ არ უდრკება ქვეყნად არავის,
გესმის გრიალი მთებიდან ზვავის? —
ეს სიმღერაა საქართველოსი!

თავისუფლებისმოყვარე ერებს,
ვით ზღვას ვერა რა ვერ შეაჩერებს,
მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს —
ეს სიმღერაა საქართველოსი!
აქ გამარჯვების დროშად წერია:
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია,
თუ რამ სიმღერა გულს უმღერია —
ეს სიმღერაა საქართველოსი!
გმირებით სავსე, სამშობლო მხარევ,
დღეს გამარჯვების გულით მღელვარევ,
იდიდე! ამ ხმას სხვაში ვერ გარევ —
ეს სიმღერაა საქართველოსი!







ობიექტივშია საქართველო!

დიადი ღლების ქრონიკა

1921 წლის 25 თებერვალს, 12 საათსა და 15 წუთზე თბილისი განთავისუფლდა მენშევიკებისაგან.

— თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! — ამ სიტყვებით დაიწყო საბჭოთა საქართველოს ახალი ცხოვრება, ჩვენი სამშობლოს ახალი ფელთაღრიცხვა.

პირველი ღლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღლები იყო.

ყოველი წელიწადი აღსავსე იყო დიადი მოვლენებით, რომელთა მარტო ჩამოთვლაც კი ტომებს მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ყველაზე მნიშვნელოვანსა თუ დამახასიათებელს შეგახსენებთ.

1921

12 III. გაიხსნა ბაქო-თბილისი-ბათუმის ნავთსადენი.

19 VI. ფოთის ნავსადგურში ზღვაში ჩაუშვეს აღდგენილი სამი ხომალდი.

1922

23 I. მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველმა ყრილობამ.

18 III. დაარსდა საქართველოს სამხატვრო აკადემია.

31 III. დაარსდა ქართული დრამატული სტუდია.

14 V. გაიხსნა ხონ-მათხოჯის სარწყავი არხი.

31 X. ამუშავდა სპილენძის დამმუშავებელი ქარხანა.

4 XII. გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა სახლი.

1923

14-18 III. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) II ყრილობა.

14 IV თბილისის წითელარმიელთა კლუბში გაიხსნა საბავშვო თეატრი.

20 V. აღადგინეს და მწყობრში ჩააყენეს ჩათახის (ბორჩალოს მაზრა) რკინისა და თუჯის გამომდნობი ქარხანა.

28 VIII. მოეწყო ქართველ ალპინისტთა ჯგუფური ასვლა მყინვარწვერზე პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, რითაც დაიწყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორია.

19 XI. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ქართულ ენაზე პირველად დადგა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი".

26 XI. გაიხსნა ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზა.

1924

6-11 V. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) III ყრილობა.

10 VIII. აბასთუმანში გაიხსნა სანატორიუმი „არაზინდო".

12 X. ქუთაისში გაიხსნა შალეულის საქსოვი ფაბრიკა.

1925

23 VI. გაიხსნა შირაქის არხი.

7 VII. სოფელ მახუნცეთში (აჭარა) გაიხსნა ჰიდროელექტროსადგური.

9 VIII. ამუშავდა ახალციხის ჰიდროელექტროსადგური.

30 XI. გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IV ყრილობა.

„სამშობლო" — ფოთი 71

მზიური რესპუბლიკის იუბილე



გივი ჯავახიშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ყოველი ხალხის, სახელმწიფოს ისტორიაში არის ღირსსახსოვარი ნიშანსვეტები. ქართველი ხალხისათვის ასეთი ნიშანსვეტი გახდა 1921 წლის 25 თებერვალი — საბჭოთა საქართველოს დაბადების დღე.

ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავის „ოქროს“ იუბილეს და სიამაყით ავლებს გონების თვალს განვლილ გზას, რომელიც აღსავსეა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით. ეს წარმატებანი თავდადებული შრომით მოიპოვეს მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ, რომლებმაც თავიანთი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარეს მშობლიური ქვეყნის აღორძინებას, სოციალიზმის მშენებლობას.

ნახევარი საუკუნის წინათ ახალგაზრდა რესპუბლიკამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო მენშევიკი მმართველებისაგან. ისედაც სუსტად განვითარებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგი დანგრეული იყო.

საქართველოს მრეწველობა არსებითად განისაზღვრებოდა შინამრეწველური სახელოსნოებითა და პატარა საწარმოებით, რომლებიც სამეურნეო დანიშნულების პრიმიტიულ ნაწარმს უშვებდნენ. მაშინ ყველაზე დიდი საწარმო იყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც ხდებოდა ორთქლმავლების შეკეთება. რევოლუციამდე საქართველოს მთელ მრეწველობაში 13 ათასი კაცი თუ იყო დასაქმებული. შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ ახლა საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობა დაახლოებით ოთხასი ათას კაცს შეადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ქართველი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა სოციალისტური ინდუსტრიის შექმნას.

ახალგაზრდა რესპუბლიკას დახმარების ხელი გამოუწოდა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელიც, მიუხედავად საკუთარი ეკონომიური სიძნელეებისა, პოულობდა სახსრებს ქართველი ძმების დასახმარებლად. მოსკოველმა მუშებმა საქართველოს საჩუქრად გამოუგზავნეს მაუდის ფაბრიკის მოწყობილობა, რუსეთიდან მოდიოდა პურით, ფართლეულით, ფეხსაცმლით, მედიკამენტებით დატვირთული ეშელონები.

უკვე 1925-1926 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებამ ომამდელ (1913 წლის) დონეს მიაღწია. მომდევნო წლებში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობა, ფართოვდებოდა სახვავ-სათესი, იზრდებოდა მოსავლიანობა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში.

რევოლუციამდე საქართველოს პრაქტიკულად არ ჰქონდა ენერგეტიკული ბაზა. ახლა რესპუბლიკაში მოქმედებს 30-ზე მეტი მსხვილი და ათობით მცირე ელექტროსადგური, რომლებიც წელიწადში 9 მილიარდ კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას იძლევიან, მაშინ როცა რევოლუციამდე ყოველწლიური გამომუშავება 20 მილიონ კილოვატსაათს არ აღემატებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახლა საქართველოს ელექტროსადგურები იმაზე მეტ ელექტროენერგიას იძლევიან დღეში, რამდენსაც რევოლუციამდე მთელ წელიწადში იძლეოდნენ.

შედარებისათვის გაგახსენებთ, რომ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, რომლითაც სამართლიანად ვამაყობდით პირველ ხუთწლედებში, მხოლოდ 200 მილიონ კილოვატსაათს იძლევა. ეს სადგური ოდესღაც რესპუბლიკის მთელ მრეწველობას კვებავდა, ახლა კი, საეჭვოა, მისი სიმძლავრე საქართველოში მოქმედ საოჯახო ტელევიზორებს ეყოს.

გაივლის კიდევ ცოტა ხანი და მწყობრში ჩადგება მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური ენგურჰესი, რომლის თაღოვანი კაშხალის სიმაღლე 270 მეტრია. ქართული საინჟინრო აზრის ბრწყინვალე შედევრის სიმძლავრე ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა ჰიდროელექტროსადგურისა ერთად.

რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის უპირატესმა განვითარებამ დააჩქარა მრეწველობის ყველა დარგის ზრდა. ახლა მძლავრი ელექტროსადგურები ამუშავებენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეიერებს, ქარხნისა, რომელიც უშვებს „კოლხეთის“ მარკის მძლავრ საწევრს.

საქართველოს ელექტროსადგურები ენერგიას აწვდიან საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უდიდეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. საწარმო უშვებს სხვადასხვაგვარ პროდუქციას, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოსადნობად. აქ, ზესტაფონში, პირველად განხორციელდა ელექტროლიზური მანგანუმის წარმოება ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული მეთოდით.

ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამოქმედების შედეგად გაიზარდა ფოლადის, ნაგლინის, მილების, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება. ყოველწლიურად ჩვენი საწარმოები უშვებენ მილიონობით ტონა ცემენტს, ათეული მილიონობით მეტრ ბამბისა და შალის ქსოვილს. ელექტროფიცირებულია საქართველოს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, დასახლებული პუნქტი.

ახლა საბჭოთა საქართველოს საწარმოები ამზადებენ სულ სხვადასხვანაირ მექანიზმს — დაწყებული სარეცხი მანქანებით და დამთავრებული ლითონსაჭრელი ჩარხებით, ელექტრომექანიკური მოწყობილობით, წყალქვეშა-ფრთიანი კატარღებით, მძლავრი მაგისტრალური ელექტრომავლებითა და ურთულესი გამომთვლელი მანქანებით.

სწრაფად ვითარდება საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაც. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ნაწარმს მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა ყიდულობს.

ანტიკური სამყაროს ისტორიკოსები ადასტურებენ, რომ საქართველო უძველესი მეტალურგიის ერთ-ერთი კერაა. ახალ საქართველოს მშრომელთა სიამაყეა ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი რუსთავი — მეტალურგიისა და ქიმიის ცენტრი. საგულისხმოა, რომ ქარხნისა და ქალაქის მშენებლობა ჯერ კიდევ 1941-1945 წლების ომის ქარცეცხლიან დღეებში დაიწყო, დღეს კი მისი მოსახლეობის რაოდენობა 100 ათასს აღემატება. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს თუჯს, ფოლადს, მთლიანზიდულ ფოლადის მილებს, ფურცლოვან ნაგლინსა და სხვა პროდუქციას, რომელიც მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გვერდით მოქმედებს აზოტოვანი სასუქის ქარხანა, კაპროლაქტამის წარმოება, ხინთუზური ბოჭკოს ქარხანა და სხვა მრავალი.

თბილისის ჩარხშენებელი ქარხნის პროდუქციას მსოფლიოს 50 ქვეყანა უიდულობს. აღვნიშნავ, რომ ახლა მარტო საქართველო მეტ ჩარხს უშვებს, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი აწარმოებდა.

საქართველოს ეკონომიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას, რომელსაც საფუძვლად უდევს მდიდარი ნედლეულის ბაზა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. რესპუბლიკის ყოველი ასი კილოგრამი პროდუქციიდან ოცდაათ კილოგრამზე მეტს შეადგენს ჩაი, ციტრუსები, ღვინო, კონსერვები, მეცხოველეობის პროდუქტები, მარცვლეული.

რესპუბლიკის მრეწველობის სწრაფი ზრდა, რომლის მთლიანმა პროდუქციამ 1970 წელს 85-ჯერ და მეტად გადაჭარბა რევოლუციამდელ დონეს, ხოლო 8-ჯერ — 1940 წლის დონეს, თვალნათლივ ადასტურებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით.

საქართველოში განსაკუთრებული ხელშემწყობი პირობები არსებობს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის. მაგრამ რევოლუციამდე გლეხებს მთელი მიწის მხოლოდ 6,3 პროცენტი ეკუთვნოდათ. საკოლმეურნეო წყობილებამ ქართული სოფლის მშრომელებს საშუალება მისცა ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მეჩაიეობის განვითარება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელიწადს ჩაის პლანტაციებს სულ 900 ჰექტარი ეჭირა, ახლა კი იგი 64 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაშენებული.

ქართველ მეჩაიეებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უხვი მოსავალი მოჰყავთ. საქართველოში შემუშავებულია ჩაის ნარგავების მოვლის ყველაზე სრულყოფილი აგროტექნიკური წესები. ადგილობრივ პლანტაციებში, პირველად მსოფლიოში, გაჩნდნენ სამმუშაო მარკის საკრეფი მანქანები, რომლებმაც შეცვალეს ჩაის მკრეფავთა ქანცგამომცლელი ხელის შრომა. ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს ჩაის უხვმოსავლიანი, ყინვაგამძლე სელექციური ჯიშები.

ევენახეობა და მეღვინეობა განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. უხსოვარი დროიდან საქართველო ცნობილი იყო მეღვინეობის ქვეყნად. ჯერ კიდევ ქსენოფონტეს შრომებში ნახსენებია კოლხეთის თაფლივით ტკბილი სასმელები. უცხოელი დამპყრობნი, მახვილითა და ცეცხლით რომ ლამობდნენ საქართველოს გაპარტახებასა და მისი ხალხის დამონებას, უწინარეს ყოვლისა ვენახებს ჩეხდნენ. მაგრამ შრომისმოყვარე ხალხი, ნანგრევებიდან და ფერფლიდან რომ აღდგენდა თავის ქვეყანას, კვლავ და კვლავ ახარებდა ვაზს — ძალისა და ძლიერების, მეგობრობისა და მშვიდობის სიმბოლოს. ქართველები საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადასცემდნენ ქართული ვაზის მოვლა-მოყვანის ხერხებსა და ქართული ღვინის დაყენების წესს.

ჩვენს დღეებში მევენახეობა და მეღვინეობა სახალხო-მეურნეობის უდიდეს დარგად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ვენახების ფართობი სამჯერ და მეტად გადიდდა და 1970 წელს 113 ათასი ჰექტარი შეადგინა. საუკუნეთა განმავლობაში შეძენილი გამოცდილების წყალობით საქართველოში ქართული ყურძნისაგან მზადდება საუკეთესო შრალი და მოტკბო სამარკო ღვინოები, რომელთაც საუცხოო გემო და განუმეორებელი ბუკეტი აქვთ. საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებსა და დეგუსტაციებზე ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა 160-მდე მედალი მოიპოვეს, რომელთა უმრავლესობა ოქროსია.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს გვალვიანი მიწების მორწყვასა და კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების დაშრობას. ამ სამუშაოებს განსაკუთრებით დიდი გაქანება უკანასკნელ წლებში მიეცა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სულ 90 ათასი ჰექტარი ირწყვებოდა, რაც აქედან მეტი ნაწილი — პრიმიტიული წესით. ახლა საქართველოში 355 ათასი ჰექტარი ირწყვება. პირველი ოთხმდელი ხუთწლედების წლებში ფართო მასშტაბით დაიწყო მუშაობა კოლხეთის დაბლობის დასაშრობად. ჭაჭრობი სიუხვის მხარედ იქცა. კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ფართოვდება ჩაის პლანტაციები, ათასობით ჰექტარზეა გაშენებული დაფნა, ხურმა, ფეიხოა, ბამბუკი და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1970 წელს რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 6-ჯერ და მეტად გაიზარდა; ეს მიღწეულია ლენინური კოოპერაციული გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად, წვრილი, დაქსაქსული, ეკონომიურად სუსტი მეურნეობებიდან კოლექტიურ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის შედეგად.

მოსახლეობის ჯანმრთელობა ყოველთვის იყო და არის საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი. საქართველოში შექმნილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი. ახლა რესპუბლიკაში 17 ათასი ექიმი მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 3,6 ექიმი, მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელიც გნებავთ ქვეყანაში. 50 წლის მანძილზე საქართველოში სავსებით მოისპო ისეთი სნეულებანი, როგორიც არის მალარია, რომელიც ნამდვილი უბედურება იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის; ბოლო მოეღო დაავადებებს — პოლიომიელიტს, ყვავილს, მინიმუმამდე შემცირდა ტუბერკულოზისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები.

საქართველო მთელ მსოფლიოშია განთქმული თავისი საუცხოო კლიმატური ბალნეოლოგიური და ზღვის კურორტებით, ისეთებით, როგორიც არის, მაგალითად წყალტუბო, ბორჯომი, გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი...

ჩვენი ქვეყანა საუკუნეთა სიღრმეში ფესვგადგმული მაღალი კულტურის რესპუბლიკაა. დრომ შეგვინახა ძველი ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის, ფერწერისა და ქანდაკების შესანიშნავი ძეგლები. მაგრამ ნამდვილ აყვავებას ქართულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია.

მოვიყვან ორ ციფრს, რომელთაც კომენტარი არ სჭირდება. 1921 წლამდე ქვეყანაში სულ 40 საშუალო სკოლა იყო. ახლა რესპუბლიკაში დაახლოებით 5 ათასი სასწავლებელია, სადაც მილიონნამდე ბავშვი სწავლობს. ასევე სწრაფი ტემპით ვითარდება უმაღლესი განათლება. ნაცვლად ერთი უმაღლესი სასწავლებლისა, რომელიც 1921 წლამდე იყო, ახლა ჩვენში 18 უმაღლესი სასწავლებელი, 100-მდე ტექნიკუმი და ხაშუალო სპეციალური სასწავლებელია, სადაც 90 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ამ ბოლო ხანს ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა ფრიად გააფართოვეს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი დარგების სპეციალისტთა მომზადება, როგორიც არის ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონიკა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე მყარი სხეულის ფიზიკა, ნახევარგამტარები, კიბერნეტიკა, გამოთვლითი მათემატიკა და ტექნიკა.

30 წლის წინათ საქართველოში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 40 სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებას აერთიანებს. ახლა რესპუბლიკაში 17 ათასზე მეტი მეცნიერ მუშაკია, მათ შორის 6000 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. ბევრი მათგანი არჩეულია ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორებად, მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრებად. ქართველ მეცნიერთა ნაშრომების ღირსებაზე მეტყველებს მრავალი სახელმწიფო, ლენინური და საერთაშორისო პრემია. განსაკუთრებული აღიარება მოიპოვეს მსოფლიო მასშტაბით ქართველ მეცნიერთა შრომებმა მათემატიკის, ფიზიოლოგიის, დაბალ ტემპერატურათა, კოსმოსური სხივებისა და მყარი სხეულის ფიზიკის დარგებში. მეტად საინტერესოა დაკვირვებანი ქართველი ასტრონომებისა, რომლებიც სწავლობენ დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებსა და ხელოვნური ციური სხეულებს, გამოკვლევანი ბიოქიმიაში, ბიოფიზიკაში... ჩვენი სწავლულების შრომები ითარგმნება და გამოდის ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე...

საბჭოთა საქართველოს მიღწევები, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებისა, საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის შედეგია. არასოდეს დავივიწყებთ იმ უდიდეს დახმარებას, რომელიც რუსმა და სხვა მოძმე ხალხებმა გაგვიწიეს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის ბრძოლაში.

თავისი ნახევარი საუკუნის იუბილეს საბჭოთა საქართველო ძალ-ღონით აღსავსე ეგებება. მაგრამ განვლილ ათწლეულთა მთავარი მიღწევა არის მდიდარი სულიერი სამყაროთი და მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებული ახალი ადამიანის — ყველა მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა შემოქმედის — აღზრდა.





სურათზე: 1 მაისი თბილისში

გაზაფხულის ზეიმი

როგორც ყოველთვის, ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა გაზაფხულის დიდი დღესასწაული — ადამიანთა შორის ძმობის, შრომისა და მშვიდობის საერთაშორისო დღე.

1 მაისს თბილისში გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია. საქართველოს დედაქალაქი მთლიანად ვარდ-ყვავილებში იყო ჩამჯდარი, შენობათა ფასადებს ამშვენებდა წითელი დროშები და ლოზუნგები, ქუჩებში, მოედნებზე, პარკებსა და ხეივნებში მთელი დღე ისმოდა მუსიკის ჰანგები.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს — დედაქალაქის მშრომელთ სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.

შემდეგ დაიწყო მშრომელთა კოლონების საზეიმო სვლა. საპირველმაისო დღესასწაული გაიმართა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ჭუთაისში, რუსთავში... მშვიდობისა და შრომის ზეიმი მთელმა საქართველომ გადაიხადა.

ხალხის კანდიდატები

საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს, რომელიც 13 ივნისს გაიმართება.

დადგა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საარჩევნო კამპანიაში — დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებებზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, როგორც წესი, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ასახელებენ. კანდიდატებად დასახელებულთა შორის არიან ქარხანა „ელექტროავტომატის“ ბრიგადირი **გიური წულაია**, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილი**, აკადემიკოსი **გიორგი წერეთელი**, ფოლად-თუჯსასხმელო ქარხნის მუშა **გიორგი კურტანიძე**, № 6 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი **ეთერ ჩხეიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **გიორგი ჯიბლაძე**, საქართველოს სახალხო მხატვარი **უჩა ჯაფარიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რაფიელ დვალი** და სხვები. კანდიდატთა დასახელება გრძელდება...

ერთი თვეც და საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას რჩეულთ. ამით ისინი ხმას მისცემენ სამშობლოს წინსვლას, ერის ბედნიერებას.

კოსმოსის შეტევა გრძელდება

1971 წლის 23 აპრილს, 2 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით, საბჭოთა კავშირში სტარტი აიღო მატარებელმა რაკეტამ „სოიუზ-10“ კოსმოსური ხომალდითურთ. ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ: ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ვლადიმერ შატალოვი (მეთაური), ბორტ-ინჟინერი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ელისეევი და ინჟინერ-გამომცდელი ნიკოლოზ რუკავიშნიკოვი. „სოიუზ-10“ ხომალდმა ორი დღე-ღამის განმავლობაში განახორციელა ერთობლივი ექსპერიმენტები ორბიტულ სამეცნიერო სადგურ „სალუტთან“ ერთად, რომელიც დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაუშვეს წელეულს, 19 აპრილს.

ერთობლივი ფრენის პროცესში ხორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები და სამუშაოები „სალუტ“ ორბიტულ სადგურთან პილოტირებული კოსმოსური ხომალდის შეპირაპირებისა და განპირაპირებისათვის, ფრენის პროცესში ხორციელდებოდა მოძრაობას ორიენტაცია, სტაბილიზაცია და მართვა.

25 აპრილს, 2 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით, „სოიუზ-10“ კოსმოსური ხომალდი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქალაქ ყარაღანდის მახლობლად. 30 აპრილს კი, კოსმონავტებს გული იკრავდა მოსკოვის საზოგადოებრიობა. კრემლში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ციურ ძმებს გულთბილად მიულოცეს ამ დიდმნიშვნელოვანი ფრენის დამთავრება და დამსახურებული ჯილდოები გადასცეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით კოსმონავტ ნიკოლოზ რუკავიშნიკოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, ვლადიმერ შატალოვი და ალექსი ელისეევი ლენინის ორდენებით დაჯილდოვდნენ.

კოსმოსის შეტევა, რომელსაც დასაბამი მისცა იური გაგარინმა, გრძელდება.

სურათზე — კოსმონავტები ვლადიმერ შატალოვი, ალექსი ელისეევი და ნიკოლოზ რუკავიშნიკოვი.



მწერალთა ფორუმი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს მწერალთა VII ყრილობა.

საანგარიშო მოხსენებით — „1966-1971 წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მისი განვითარების პრობლემები“ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბრიგოლ აბაშიძე.

ყრილობამ მოისმინა თანამოხსენებები: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის სერგი ჰილაშვილი — ქართული პროზის შესახებ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ბესარიონ შენტიასი — ქართული პოეზიის შესახებ, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორის, კრიტიკოს ბიორბი ციციშვილისა — ქართული დრამატურგიის შესახებ, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორის, მწერალ ბიორბი ნატროშვილისა — ქართული კრიტიკის შესახებ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის იოსებ ნონეშვილისა — ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ, პროფესორ ბიძი ბაჩიჩილაძისა — თარგმნილი ლიტერატურის შესახებ.

მოხსენებისა და თანამოხსენებათა გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი.

ყრილობის დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ.

ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, სარევიზიო კომისია და მწერალთა სრულიად საკავშირო V ყრილობის დელეგატები.

კონსტანტინე გამსახურდია — ლენინის ორდენი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 4 მაისის ბრძანებულებით მწერალი კონსტანტინე გამსახურდია საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

პრესის მუშაკთა ზეიმი

5 მაისს მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა **საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე.** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა პრესის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დავით მჭედლიშვილმა** გულთბილად მიულოცა პრესის ყველა მუშაკს ბეჭდვითი სიტყვის დღე — 5 მაისი და წარმატებანი უსურვა კეთილშობილ, საპატიო შრომაში.

1926

5 VI. გაიხსნა რკინიგზის ხაზი ახალსენაკიდან ზუგდიდამდე.

1 VII. თელავში ამუშავდა აბრეშუმსახვევი ფაბრიკა.

10 XI. ოზურგეთში ამუშავდა აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა.

18 XI. თბილისში დამთავრდა რადიოგადამცემი სადგურის მოწყობა.

1927

22 I. ქობულეთში ამუშავდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

25 II. ამუშავდა მარნეულის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა.

9 IV. ზაჰესმა პირველი დენი მისცა თბილისს.

1928

6-13 III. გაიმართა საქართველოს მწერალთა II ყრილობა.

1 V. ამუშავდა აბაშის ჰიდროსადგური — აბჰესი.

28 XI. თბილისში გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

21 XII. სოფელ ქესათიბში (ახალციხის მაზრა) ამუშავდა დიატომიტის მადნის საფქვავი ქარხანა.

1929

25 II. გაიხსნა ჭუთაისის აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა.

1-10 VII. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VI ყრილობა.

14 XII. თბილისში დაარსდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

1930

25 I. ამუშავდა თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა.

13 II. ამუშავდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენი.

28 V. მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) VII ყრილობამ.

6 VI. მოსკოვში დაიწყო რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები.

27 VI. გორში ამუშავდა ახალი საკონსერვო ქარხანა.

1931

4 I. დაარსდა „ჯოხიდმშენი“, რომელიც ხელმძღვანელობდა კოლხეთის ჭაობიანი დაბლობის ამოშრობას.

7-13 I. მიმდინარეობდა ამიერკავკასიის ენერგეტიკოსთა I ყრილობა.

25 II. გაიხსნა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა.
კასპში ამუშავდა ცემენტის ქარხანა.

25 II. გაიხსნა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

26 II. შავი ზღვის სარკინიგზო ხაზზე მწყობრში ჩადგა ხიდები მდინარე რიონსწყალსა და ენგურზე.

28-30 IV. თბილისში გაიმართა მეცნიერ მუშაკთა სრულიად საქართველოს II ყრილობა.

5 VII. სოფელ აგარაში საფუძველი ჩაეყარა პირველი შაქრის ქარხანას საქართველოში.

21 VII. თბილისში დაიწყო აეროპორტის მშენებლობა.

7 XI. ოზურგეთში (ამჟამად მახარაძე) გაიხსნა ჩაის საკვლევრო სამეცნიერო ინსტიტუტი.

1932

20-24 I. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობა.

დიადი წლების ქრონიკა

3 II. შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მხატვართა ასოციაცია და საქართველოს საბჭოთა მხატვრების ფედერაცია.

16 VIII. გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი ელექტრიფიცირებული სარკინიგზო მაგისტრალური უბანი საშურ-ზესტაფონი.

1 X ცხინვალში გაიხსნა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

5 XI. გაიხსნა ნატახტარის წყალსადენის მთავარი ნაგებობა.

14 XI. თბილისში გაიხსნა საავტობუსო მოძრაობა.

15 XI. ჭუთაისში ამუშავდა საკონსერვო ქარხანა.

დიალოგი მარტენის საამქროში

ახალგაზრდული ქალაქი რუსთავი. ამიერკავკასიის გიგანტი — მეტალურგიული ქარხანა. მარტენის საამქრო.

გუგუნებენ ბრძმედები. ღუმელებთან სპექტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟკაცები ფუსფუსებენ. შთაბეჭდილება უჩვეულოა და ამ განწყობილებას ისიც აძლიერებს, რომ მეფოლადეები ახოვანები, მხარბეჭიანები არიან და საგანგებოდ დარჩეულებს ჰგვანან, ისე იქცევიან, თითქოს ზეიმზე არიანო, და ალბათ იმიტომ, რომ თავიდანვე ზეიმად დაჰყვებათ თითოეული ტონა ფოლადის გამოდნობა.

უკვე გითხარით — ყველანი საგანგებოდ დარჩეულებს ჰგვანან-მეთქი. მე მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი მაინტერესებს. ნარკვევის გმირი უნდა შევარჩიო და თითოეულს შორი-ახლოდან ვუთვალთვალებ.

ვიცი, მათში არიან სოციალისტური შრომის გმირები და ორდენოსნები. ისეთებიც, რომელთაც ამგვარი აღიარებისათვის ჯერ არ მიუღწევიათ, მაგრამ აღარაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთ „ტიტულოვან" მეგობრებს.

უკვე აღარც ამდენი ყოყმანი და განსჯა ივარგებს. ერთ მაღალ, 35-40 წლის ვაჟკაცს ვუახლოვდები, ვესალმები და სტუმრობის მიზანსაც ვაცნობ.

— ჩემი სახელი ვლადიმერია, გვარი — მეტრეველი, ონის რაიონის სოფელ სომიწოდან ვარ. ვსწავლობდი სკოლაში, ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, მოვიხადე სავალდებულო სამხედრო სამსახური და შემდეგ რუსთავში ჩამოვედი. რატომ რუსთავში? ამის გაგება ძნელი არ არის, მაშინ ქვეყანა ქართულ ფოლადსა და ქართველ მეფოლადეებზე ლაპარაკობდა. ყველა მათ შრომას აქებდა. წინაპართა უძველესი პროფესიის აღსადგენად მთებიდან ბევრი ვაჟკაცი ჩამოვიდა. მეც ახალგაზრდა ვიყავი და ის-ის იყო ცხოვრებაში ფეხი შევდგი...

მარტენის ღუმელთან მალე დამაყენეს, მაგრამ ჯერ მეორე თანაშემწე ვიყავი, მერე პირველი და მხოლოდ შემდეგ გავხდი უფროსი მეფოლადე, — მეუბნება ვლადიმერი. მერე ერთხანს გავჩუმდით. მეფოლადე თავის საქმეს განაგრძობდა. მე ვუთვალთვალებდი და ვიცოდი, რომ ორივეს საქმისათვის ასე სჯობდა.

ღუმელში ხურდებოდა ჯართი, მადანი, კირქვა, მანგანუმი. შემდეგ თუჯიც მიუმატეს და ტემპერატურა ათას გრადუსს ასცდა. მეფოლადეებმაც ათასი თვალი და ყური გამოიბეს.

ორი საათის შემდეგ უფროსმა მეფოლადემ თქვა, აბაზანა უკვე გახურდაო. ახლა ლაბორატორიაში იგზავნება სინჯი და იქიდან ყოველ თხუთმეტ წუთში ბრუნდება პასუხი. ვლადიმერმა ორიოდე სიტყვით გამაგებინა, რომ ახლა იწყება მთავარი: გავარვარებული მასა უნდა გადააქციონ ზუსტად იმ ხარისხის ფოლადად, როგორიც სახელმწიფო შეკვეთით არის გათვალისწინებული. აქაც შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნა ვლადიმერ მეტრეველმა. მასას ნახშირბადი ჩაუმატა, მერე ფოსფორი და გოგირდი. მანგანუმით და ფეროსილიციუმით გაჟანგვაც დროით დაასრულა და პირველ თანაშემწეს ანიშნა, დაიწყე შენი საქმეო. თანაშემწემაც აღარ დააყოვნა, გადახსნა ღუმელის უკანა ხვრელი და ციცხვებში ცეცხლად გადმოიღვარა ქართული ფოლადი. მერე ვეებერთელა ამწემ ბოყვებში ჩააპირქვავა გავარვარებული ნიაღვარი.

ვლადიმერ მეტრეველის ბრიგადამ 200 ტონა ფოლადი 8 საათისა და 30 წუთის ნაცვლად, 6 საათსა და 40 წუთში გამოადნო. მოგებული დრო უქმად არ დაუკარგავთ. სახელდახელოდ გააწყეს ღუმელი და ახალი დნობა დაიწყეს. ორი საათის შემდეგ მომდევნო ცვლა მოვიდა, № 3 ღუმელთან ახლა სხვა მეფოლადეები დადგნენ ვახტზე.

მარტენის საამქროდან გამოვდიოდით და ძველი მეგობრებივით ვსაუბრობდით. მაინც ეს საუბარი კითხვა-პასუხისა იყო. მე მაინტერესებდა და ვეკითხებოდი, ვლადიმერიც მიპასუხებდა.

● საერთოდ, როგორი მაჩვენებლები აქვს თქვენს ბრიგადას?

შარშანდელი გეგმა 12 დეკემბრისათვის შევასრულეთ. ხუთწლედში კი 2.900 ტონა ზეგეგმითი ფოლადი გამოვადნეთ.

● მოგწონთ და გაკმაყოფილებთ თქვენი პროფესია ახლა, როდესაც ჭაბუკობას გასცილდით და „ცხოვრებაშიც კარგა ღრმად შეადგით ფეხი?"

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ძალიან მწამს საკუთარი თავისა. ჩემს ხელობას დღესაც სიამაყით ვუყურებ. ლაღად ვარ, წელგამართული დავდივარ, არავისი არა მმართებს რა; ჩემს ცოლ-შვილს აქვს ყოველგვარი სიკეთე, რაც მე, მეუღლეს და მამას უნდა მიმეწოდებინა მათთვის.

● რა პროფესიას აურჩევდით მომავლისათვის თქვენს შვილებს?

მამუკა თერთმეტი წლისაა. პაპუნა ათისა. იქნებ ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მათ პროფესიას არ დავეძებ. მთავარია პატიოსანი მშრომელები იყვნენ.

● რამდენი ბედნიერი დღე დაგახსომდათ?

— თანმიმდევრობით გეტყვით. როდესაც დაიბადნენ მამუკა და პაპუნა, ჩემი გვარის გამგრძელებლები. როდესაც პირველად გამოვადნე ფოლადი. დამახსომდა ის დღე, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიმიღეს. ახლახან მოსკოვში ვესწრებოდი პარტიის 24-ე ყრილობას როგორც დელეგატი. ეს დროც ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეებში ჩამეთვლება.

● როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ყრილობიდან?

ამაზე საუბარი ასე უბრალოდ არ მოხერხდება. შთაბეჭდილებები ძალზე დიდი და ძლიერია. მხოლოდ ერთს გეტყვით: მეცხრე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში უნდა გამოვადნოთ 140-150 მილიონი ტონა ფოლადი. ეს რეალური გეგმაა და მის განხორციელებაში დიდი ამოცანები გვეკისრება ჩვენ, ქართველ მეფოლადეებს.

ჯემალ ქურხული

სურათზე — ვლადიმერ მეტრეველი



დიადი წლების ქრონიკა

1933

2 I. სურამის უღელტეხილზე დაიწყო ელექტრომავლების მიმოსვლა ორმაგი წევით.

30 IX. რიონჰესმა მოგვცა პირველი სამრეწველო დენი.

30 X. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ გამოუშვა ფერომანგანუმის პირველი შენადნობი.

1934

10-14 I. საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) IX ყრილობა.

15-16 II. გაიმართა საქართველოს არქიტექტორთა I ყრილობა.

I V. ტყვარჩელის საბადომ მოგვცა პირველი 200 ტონა ქვანახშირი.

6 V. თბილისში გაიხსნა საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა.

11. V. დამთავრდა თბილისის ქინინურ-ფარმაცევტული ქარხნის მშენებლობა.

26 VIII. მოსკოვში, საბჭოთა მთავრობის სახლში გაიმართა ქართული პოეზიის საღამო.

29 VIII. ქართველმა მთამსვლელებმა ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დალაშქრეს უშბის მწვერვალი.

1935

1 I. საექსპლოატაციოდ გადაეცა მაღარო აკარმარა (ტყვარჩელი).

6 I. ბაკურიანში გაიხსნა ზამთრის საკავშირო სასპორტო ბაზა. გაიხსნა თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტი.

6 III. ცხინვალიდან თბილისისაკენ გამოვიდა პირველი ელექტრომატარებელი.

1 V. ნასაკირალში (მახარაძე) ამუშავდა ჩაის ფაბრიკა.

16 VI. დამთავრდა თბილის-ხაშურის რკინიგზის ელექტრიფიკაცია.

24 VI. თბილისში გაიხსნა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ახალი პარკი და სსრ კავშირში პირველი საბავშვო რკინიგზა.

1 IX. ამუშავდა თბილისის ქაღალდის ფაბრიკა.

სექტემბერში თბილისში გაიხსნა სამეცნიერო მათემატიკური ინსტიტუტი.

1936

1 I. დამთავრდა საქართველოში ყველაზე დიდი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა მდინარე ყვირილაზე.

19-23 II. გაიმართა არქიტექტორთა პირველი სრულიად საქართველოს ყრილობა.

5 V. ცხაკაიაში გაიხსნა მენჯის ახალი ბალნეოლოგიური კურორტი.

10 XI. გაიხსნა ქვემო სვანეთის გზა, რომელმაც ცაგერი ლენტეხთან შეაერთა.

1937

5-6 I. მოსკოვში გაიმართა ქართული ხელოვნების დეკადა.

15 II. გამოქვეყნდა საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

28 II. გაიხსნა ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრი.

30 III. დაიწყო კოლხეთის დაბლობის ამოშრობილი ადგილების დასახლება.

ფერისცვალება მესხეთისა

ღვთით მონიჭებული მადლიანი მიწა, ბუნების სიმდიდრე და სილამაზე, ხალხის შრომისმოყვარეობა, დიდი კულტურა, ზომიერება მზისა და ჰაერისა, დევებად ჩაწოლილი მთები და მუზარადად ქცეული კლდეები, ცრემლნარევი ტბები და ფარვანასავით მოლივლივე მდინარეები — აი რამ აქცია სახელოვანი მესხეთი, როგორც გიორგი ლეონიძე ამბობდა, ქართული გენიის დიდ კერად და სააკვნედ, დიდ მომღერალთა, მხატვართა, მეცნიერთა, სარდალთა, მოღვაწეთა — მესხი მთაწმინდელების, მერჩულების, ზარზმელების, ახალციხელების, პეტრიწის, ოპიზრების, თმოგველების სამკვიდროდ, სამშობლოდ. სამართლიანად მონათლა ხალხმა იგი „მეორე ათენად", „ნატვრის თვალად", „სიდარბაისლით განთქმულ კუთხედ", „ობოლ მარგალიტად", „პოეზიის მექად", საიდანაც უზენაესმა მოძღვარმა შოთამ ხალხთა მეგობრობაზე, სიყვარულზე, სილამაზესა და მშვენიერებაზე, სიმართლესა და თავდადებაზე, სამშობლოსა და თავგანწირვაზე იგალობა.

მაგრამ ჩვენმა საუკუნემ პურადი, მხნე და გულადი მესხეთის ნაცვლად მემკვიდრეობად მიიღო დაკნინებული და დაქუცმაცებული, დაფლეთილი და აოხრებული კუთხე. ერთ დროს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ნანგრევებად იყო ქცეული. გული გიკვდება, წერდა ალექსანდრე ფრონელი, როდესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსი პოეტის სამშობლოს არემარე ენით გამოუთქმელ უბედურებას შეუპყრია...

იმდროინდელი მოგზაურების აღწერით, თურმე მთელი მცირე აზია და ევროპის ოსმალეთი მოფენილი ყოფილა მესხეთიდან გადასახლებული სოფლებით, სადაც კვლავ ისმოდა წკრიალა ქართული ენა და გულში ჩამწვდომი სევდიანი სიმღერები.

ცრემლნარევი ოხვრით არის სავსე იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთები უპატრონოდ დარჩენილი მესხეთ-ჯავახეთის შემძრწუნებელი ყოფის შესახებ...

„სამშობლოს სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს, — წერდა 1902 წლის „მოამბე", — იმედს ნუ დავკარგავთ, შევწიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედი მსხვერპლი და ავუგოთ შოთას რუსთაველის ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც"... მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ სახელოვან წინაპარს ხელმოკლეობის გამო „მსხვერპლი" ვერ შესწირა და რუსთავის „ლამაზ ველზე" ძეგლი ვერ დაუდგა...

მხოლოდ ჩვენს ეპოქაში განხორციელდა ეს ოცნება. დღეს მესხეთის ყველა რაიონულ ცენტრს ამშვენებს რუსთაველის ძეგლი, მის მშობლიურ სოფელს კი — რუსთაველის ბრწყინვალე ქანდაკება, ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებითა და მოზაიკით შემკული დიდებული ობელისკი და „შოთას წყარო".

მე-19 საუკუნეში თუ ოცნებობდნენ მესხეთში ერთი სკოლა მაინც გახსნილიყო ქართველი ქალ-ვაჟის „ქართულად" გასაზრდელად, დღეს მესხეთ-ჯავახეთში არ არის სოფელი, სკოლა რომ არ იყოს.

ძველი მესხეთის მშრომელებს ემსახურება ახალციხის სახელმწიფო თეატრი, კულტურის მრავალი სასახლე და სახლი, კლუბი და ბიბლიოთეკა, მუზეუმი და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი, კინოთეატრი და ტელევიზია.

ადრე სანატრელად იყო ქცეული ჩვენი ღირსეული წინაპრების ნაკვალევისა და ნახელავის დაცვა. დღეს ჩვენი ხალხი თვალისჩინივით უვლის ჩვენდა საბედნიეროდ გადარჩენილ ქართული კულტურის ძეგლებს: ვარძიას, ზარზმას, საფარას, კუმურდოს, წუნდას, ვანის ქვაბებს, ხერთვისს, აწყურს, ოქროს ციხეს... მათ აღარ ვხედავთ „მინგრეულ-მონგრეულს, გავერანებულს, პატივ და დიდება აყრილს, უპატრონოდ დარჩენილს ხვლიკთა და ღამურათა ბინად, ქურთთა, თარაქამათა და სხვა გადამთიელთა მიერ საქონლის სადგომად გადაქცეულს". ამჟამად ამ ძეგლების სანახავად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ათასობით სტუმარი ჩამოდის.

ძველად მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში ცხენითა და ხარ-ურმით გავლა ძნელდებოდა, ახლა ეს მადლიანი მიწა დასერილია საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო გზებით.

დღეს ძველ მესხურ დარბაზებსა თუ ახალაშენებულ ორსართულიან ბინებში ციმციმებენ ელექტრონათურები და მამაპაპურ ბუხართან ერთად, გაზის ცისფერი ალი გიზგიზებს.


ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში ყველგან მშენებლობაა გაშლილი. ჩნდებიან ახალი სამრეწველო და სამეურნეო დასახლებანი... ხალხი უბრუნდება მამა-პაპათა ნაფუძარს. აღდგა ნავენახარი. მესხმა მოძებნა საუკუნეების მანძილზე უპატრონოდ მიტოვებული ძველი მარანი, საწნახელი და ქვევრი.

აღსრულდა ქართველ მამულიშვილთა კიდევ ერთი ნატვრა — „ერით შეთხელებულ კუთხეში", მესხეთის მიწაზე, კვლავ დაიდო ბინა ქართველმა კაცმა, კვლავ აჟღერდა და აჟღერდა „მუმლი მუხასა" და „მრავალჟამიერი"...

განახლებულ მესხეთს უფლება აქვს იამაყოს თავისი შვილებით — ახალი ხანის მესხით. საბჭოეთში აღზრდილი მრავალზე მრავალი სპეციალისტი, მეცნიერი, ლიტერატორი, ხელოვანი დიდი სიყვარულით ემსახურება თვის კუთხეს, დედასამშობლოს, ხოლო ბევრი მესხი სასახელოდ შრომობს და მოღვაწეობს რესპუბლიკის გარეთაც.

„დიახ, სამასი წლის მონობით დაჩუმებულ მესხეთს მართებს გადაიხადოს ვალი სამასი წლის სიჩუმისა, — წერდა გიორგი ლეონიძე. — დაე ახალი სახელებით ამეტყველდეს მესხეთის მდიდარმოსავლიანი მამული. კვლავაც მოგვცენ ახალი წიგნები, ახალი ნაგებობანი მესხთა შემოქმედთა, ახალი „ვეფხისტყაოსანი", თმოგვი და ვარძია, ახალი დიდი კულტურა!"...

ვახტანგ გურგენიძე



სურათზე: რუსთაველის წყარო. ასპინძის რაიონი, სოფელი რუსთავი.

აირჩიეს უცხოეთში

დღეს მრავალი ქართველი მეცნიერი მუშაობს საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებზე.

ნაყოფიერი შრომის გამოძახილია მათი საერთაშორისო აღიარება. ქართველებს ირჩევენ უცხოეთის ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებებისა თუ აკადემიების წევრებად.

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში კიდევ ორი ასეთი ცნობა მოვიდა.

საფრანგეთის გეოლოგთა საზოგადოების — 1830 წელს შექმნილი და დიდი ავტორიტეტის მქონე ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო დაწესებულების წევრად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე.

პეტრე გამყრელიძე არის გამოჩენილი ტექტონისტი. საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონალური გეოლოგიისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევები ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. იგი ორჯერ მონაწილეობდა საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესისა და სესიის მუშაობაში მექსიკასა და დანიაში.

წლეულს, 25 თებერვალს, გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის (ბერლინში) პლენუმზე უცხოელ წევრად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რაფიელ დვალი.

ეს ფაქტი თავისთავად რაფიელ დვალის სამეცნიერო მოღვაწეობის მორიგი დიდი დაფასებაა, იმის აღიარებაა, რომ ქართველი მეცნიერის შრომები ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოკვლევები მანქანათმშენებლობაში. ამ საკითხზე რაფიელ დვალს საბჭოთა და უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია და სტატია. ხოლო მობილური მანქანების გამოკვლევის დარგში ახალი მიმართულების ჩამოყალიბებაში ქართველი მეცნიერის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ბევრი მიმდევარი ჰყავს სხვა მოძმე რესპუბლიკებში.





ჩუქურთმა. ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

აღმოაჩინა ჩვენმა თანამემამულემ

ოცდახუთი წლის ასტრონომმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელმა გივი ქიმერიძემ შორეულ გალაქტიკაში აღმოაჩინა ზეახალი ვარსკვლავი. გალაქტიკა, რომელშიც აინთო ეს ზეახალი ვარსკვლავი, მდებარეობს ქალწულის თანავარსკვლავედის მიმართულებით. აქამდე ამ გალაქტიკაში ზეახალი მნათობები ფიქსირებული არ ყოფილა. იგი დედამიწიდან დაშორებულია უზარმაზარი მანძილით — 35 მილიონი სინათლის წლით და 600 მილიონჯერ უფრო კაშკაშაა ვიდრე მზე.

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ქიმერიძის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ზეახალ ვარსკვლავში ფიზიკური მოვლენები განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს. იგი წარმოიშვა გრანდიოზული მასშტაბის აფეთქების შედეგად. სულ რამდენიმე საათში მისი ნათება შეიძლება გაიზარდოს ასეულ-ათასეულჯერ. ამ ვარსკვლავის წიაღიდან მასების მძლავრი ამოფრქვევა მიმდინარეობს წამში რამდენიმე ათასი კილომეტრის სიჩქარით. ვარსკვლავის გარშემო იქმნება კოლოსალური ნისლეული. საშუალოდ, ვვარაუდობთ, რომ ზეახალი ვარსკვლავები დიდ გალაქტიკაში სამას წელიწადში ერთხელ ინთებიან. ზეახალი ვარსკვლავების ნაშთები ან მათ მიერ წარმოქმნილი ნისლეულები რადიოგამოსხივებათა წყაროები არიან, შესაძლოა, კოსმოსური სხივები ზეახალ ვარსკვლავებში წარმოიშობიან. ამიტომ მეცნიერები განსაკუთრებული ინტერესით მიმართავენ მათ, რომ გამოარკვიონ ციური სხეულთა წარმოშობა.

მეგობრობის სიმბოლოდ

გამოვიდა კუბის ეროვნული ატლასი, რაც ღირსშესანიშნავი მოვლენაა ამ ქვეყნის ცხოვრებაში. იგი კუბელი და საბჭოთა მეცნიერების ერთობლივი, მრავალწლიანი შრომის შედეგად შეიქმნა.

კუბის მეცნიერებათა აკადემიამ ეროვნული ატლასის შედგენის პროგრამა 1965 წლის 27 აპრილს მიიღო. პროგრამის შექმნის ინიციატორები იყვნენ კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დოქტორი ანტონიო ნუნიეს ხიმენესი, ჩვენი თანამემამულე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი თეოფანე დავითაია, კუბის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ თანამშრომლები: დოქტორი სალვადორ მასიპი, დოქტორი სარა ისალგე, დოქტორი ხუან ტირენტე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე რიაბჩიკოვი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის საზღვარგარეთის ქვეყნების განყოფილების გამგე იაკობ მაშბიცი.

ატლასის მეცნიერული შინაარსის შედგენასა და დამუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის კარტოგრაფიული განყოფილების გამგემ, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა ალექსანდრე ასლანიკაშვილმა დიდი მუშაობა გასწია რუკების საავტორო ორიგინალების კარტოგრაფიული რედაქტირების საქმეში.

კუბის ბუნებრივი სიმდიდრე, მოსახლეობა, მეურნეობა, კულტურული ცხოვრება და ისტორია, ატლასის 132 გვერდზე განლაგებული, სხვადასხვა თემატიკის რუკების, დიაგრამებისა და გრაფიკების სახით არის წარმოდგენილი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ კლიმატურ რუკას, რომელთა ავტორია აკადემიკოსი თეოფანე დავითაია. მან სპეციალურად გამოიკვლია კუბის კლიმატური პირობები, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მის შრომას „კუბის კლიმატური რესურსები“, რომელიც რუსულ და ესპანურ ენებზე გამოიცა. ნაშრომმა მეცნიერთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

ამგვარი ატლასის შექმნა დიდი მეცნიერული საქმეა. საკმარისია ითქვას, რომ ეროვნული ატლასი მსოფლიოს ბევრ ეკონომიურად მაღალგანვითარებულ ქვეყანას დღემდე არ გააჩნია.

კუბის ეროვნული ატლასი უთუოდ ღირსეულ ადგილს დაიჭერს მსოფლიო კარტოგრაფიული საგანძურის ოქროს ფონდში, სამუდამოდ დარჩება კუბელი და საბჭოთა ხალხების მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ.

ჯუმბერ ჯიშკარიანი,

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

აი, როგორი წინაპარი გვყოლია!

ინგლისელი ქვის მთლელის ჯოზეფ ასპდინის საფლავს აწერია: „ხსოვნა ჯოზეფ ასპდინისა, ქვის მთლელისა, რომელმაც გამოიგონა ცემენტი და რომლის წინაშეც ვალშია მთელი მსოფლიო... გამოგონება დაპატენტებულია 1824 წლის 21 ოქტომბერს“.

მაღლიერი შთამომავლობა, დღეს, როგორც არასდროს, კარგად გრძნობს ჯოზეფ ასპდინის გამოგონების სიდიადეს, რა თქმა უნდა, ჩვენც დიდად ვაფასებთ ადამიანის ღვაწლს, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი საგანძური შემატა მსოფლიოს. მაგრამ ჭეშმარიტება მოითხოვს ყველას გასაგონად ვთქვათ — ცემენტის პირველი გამომგონებელი ჯოზეფ ასპდინი კი არა, ქართველი კაცი ეგორ გერასიმეს ძე ჭელიძე გახლავთ...

1948 წელს საბჭოთა მეცნიერები დიდად დაინტერესა ლენინგრადის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილმა ეგორ ჩელიევის წიგნმა — „მთლიანი დარიგება, თუ როგორ დავამზადოთ იაფად და კარგად მერტელი ანუ ცემენტი ყოველად მაგარი მიწისქვეშა ნაგებობებისათვის“. ამ წიგნმა, რომელიც გამოცემულია 1825 წელს, უველასათვის ნათელი გახადა, რომ ცემენტი პირველად გამოიგონეს რუსეთში და მისი ავტორია ეგორ ჩელიევი (ჭელიძე) — იგი ხომ ამ სამშენებლო მასალას წიგნის გამოცემამდე ორი ათეული წლის განმავლობაში იყენებდა მოსკოვის მშენებლობაზე.

ამ წიგნს პირადად 1949 წელს ლენინგრადელი პროფესორის ივანე ალექსანდროვის მეშვეობით გავეცანი. სხვა საკითხებთან ერთად ძალზე დამაინტერესა წიგნის ავტორის გვარმა — ჩელიევმა, ასე რომ ჩამოჰგავდა ქართულ ჭელიძეს, და რაოდენ სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ეგორ ჩელიევი ეგორ ჭელიძე აღმოჩნდა.

1963 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ცნობილი მეცნიერის ზნაჩკო-იავორსკის წიგნი, რომელიც ცემენტის ისტორიას ეხება. ავტორი ვრცლად აანალიზებს ჩელიევის წიგნს და დასძენს, რომ მისი გამოგონება ბევრად ღრმა და მეცნიერულია, ვიდრე ასპდინის, რომ ჩელიევმა მსოფლიოში ყველაზე ადრე გამოიგონა ცემენტი. ავტორი მკითხველს აწვდის ჩელიევის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსაც — იგი ჭუსართა პოლკის გადამდგარი მაიორის, ქართველი აზნაურის გერასიმე დავითის ძე ჭელიძის შვილიაო...

ეგორი შვიდი წლისა დაობლდა. ხელმოკლეობის გამო სათანადო განათლება ვერ მიუღია, მაგრამ ბეჯითობით ბევრს მიაღწია. 23 წლისა უკვე მოსკოვის კანცელარიის პირველი კლასის გენერალურ მიწისმზომელად ითვლება.

ეგორ ჭელიძემ დიდი როლი შეასრულა მოსკოვის აღდგენაში, რომელიც ასე ძლიერ დააზიანა 1812 წლის ხანძარმა. სწორედ მან შეადგინა მოსკოვის გენერალური გეგმა, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე I დაამტკიცა. ჩვენი სახელოვანი წინაპარი 29 წელიწადს აშენებდა რუსეთის უპირველეს ქალაქს და თავდადებული შრომისათვის მრავალი ორდენიც დაიმსახურა.

გარდა ხსენებული წიგნისა, ჭელიძე სხვა საინტერესო წიგნების ავტორიც არის. ახლაც ინტერესით იკითხება მისი შრომები: „სატახტო ქალაქ მოსკოვის დაგეგმარება“ და „სატახტო ქალაქ მოსკოვის დაარსების ისტორია, მისი განვითარება და დიდება“. ეგორი მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი ყოფილა. აი რას წერდა მასზე მსოფლიო სახელის მჭონე მეცნიერი დე ვიტე: „ეგორს არ მიუღია სპეციალური განათლება... იცის არითმეტიკა, გეომეტრია, არტილერია, ფიზიკა, ქიმია, მექანიკა, ფერწერა, სკულპტურა, სამოქალაქო არქიტექტურა... გამჭრიახი და დიდი ნიჭის პატრონია“.

ჩვენი სახელოვანი წინაპარი გარდაიცვალა 1829 წელს 59 წლის ასაკში. მემკვიდრედ ერთადერთი ქალიშვილი დარჩენია.

1969 წელს ეგორ ჭელიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ზნაჩკო-იავორსკიმ კიდევ ერთი წიგნი უძღვნა — „ეგორ გერასიმეს-ძე ჭელიძე — ცემენტის გამომგონებელი“. ავტორი მკითხველს დაწვრილებით აცნობს ჭელიძის დამსახურებას კაცობრიობის წინაშე. წიგნში აღნიშნულია, რომ ამ დიდი პიროვნების ღვაწლი მეტ ყურადღებასა და ჯეროვან შეფასებას მოითხოვს. მიუტევებელია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ არ არის მიგნებული საფლავი იმ კაცისა, რომელმაც სამშენებლო ინდუსტრიას ასეთი დიდი ამაგი დასდო...

წლეულს, მაისში სრულდება ეგორ ჭელიძის დაბადების 200 წლისთავი. ჩვენი ვალია, რაც შეიძლება უკეთ გავაშუქოთ სახელოვანი წინაპრის დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

პროფესორი

პეტრე ფულუკიძე,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.

დიდება შრომას!

ჩამაზი სოფელია ნატანები. შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ აქ. სოფლის ისტორიას საუკუნეების სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული, მაგრამ ნატანებელ კაცს რომ ჰკითხოთ, რა ხნისაა შენი სოფელიო, გეტყვის — საბჭოთა საქართველოს თანატოლიაო. დიახ, სწორედ საბჭოთა ადამიანების, ნატანებელი კოლმეურნეების თავდადებულმა შრომამ აქცია კოღოების ბუდე ბაღნარად, დააშრო ჭაობი და იქ ჩაის პლანტაცია, მანდარინის ბაღები გააშენა. ქოხმასების მაგივრად ოდა-სახლები წამოჭიმა. რა თქმა უნდა, ერთ საგაზეთო წერილში ძნელია სრულყოფილად ასახო სოფლის ცხოვრება, მაგრამ მის წარსულზე, დღევანდელ დღესა და მომავალზე მოკლე ნათქვამიც ნათლად დაგვანახვებს, თუ რა შესძლებია თავისუფალ ადამიანს, როგორ იცვალა სახე გურიის ერთ-ერთმა ჩამორჩენილმა სოფელმა...

ვაი-ვუი ნატანებსო....

რომ გაიგებდნენ, სასიძო ნატანებელი კაციაო, მშობლები სახეს იკაწრავდნენ —ჭაობში სულის ამოსახდელად როგორ გავიმეტოთ შვილიო. აკი მღეროდნენ სიმწრის სიმღერას ნატანებელი ვაჟკაცები — ვაი, ვუი ნატანებსო, ქალი არ გამატანესო...

გურული ქალი წყევლად მიიჩნევდა ნათქვამს — ნატანებში გნახე გათხოვილიო.

მთასა და ზღვას შორის მოქცეული სოფლის „სიმდიდრე“ კოღო და მალარია იყო, „გასართობად“ ჭაობებში ჩარჩენილი პირუტყვისა თუ ადამიანის შემაძრწუნებელი ყვირილიც ჰყოფნიდათ. კვირა ისე როგორ გავიდოდა, ერთი-ორი კაცი არ მიებარებინათ ეკლესიის ეზოში ამოთხრილი საფლავისათვის. ორმოც წელს მიღწეული კაცის სიკვდილი არავის აკვირვებდა — კიდევ კარგად გაუძლო ამ ციებ-ცხელებასთ.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები, მრავლდებოდა კოღო, იზრდებოდა ჭაობი, ივსებოდა ადამიანის მოთმინების ფიალა.

ორი უღელი ხარის იმედით

ოქტომბერმა ნატანებშიც შეისვედა. ახლის სიკეთე ადრევე იწამეს, 1930 წელს შეიქმნა კოლმეურნეობა და მასში 470 კომლი გაერთიანდა. რაც გააჩნდათ, საერთო საქმისათვის გაიღეს. მართალია, მათი ავლა-დიდება, რომ იტყვიან, რამდენიმე უღელი ხარისაგან შედგებოდა, მაგრამ ენთუზიაზმი დიდი იყო და ერთხელ არჩეული გზიდან გადახვევა აღარავინ ისურვა.

თერთმეტ წელიწადს ებრძოდნენ მიწას უშფოთველად და გულდაჯერებით, ასობით ჰექტარი ჭაობი ამოაშრეს, ჩაის პლანტაციებიც გააშენეს და მანდარინიც ბევრი დარგეს. ხარობდა მშრომელი კაცის გული, ოდა-სახლი წამოჭიმა, გზა გაიყვანა, სკოლა ააშენა, მინდვრად ტრაქტორი და კომბაინი ააგუგუნა, სტუმარს ქართული პურმარილით დაუხვდა, ისეთი კრიმანჭული შემოსძახა, ყელში ჩახედეს — სალამური ხომ არ ჩაუდგამსო.

300 ნატანებელი

მტერმა დაარღვია ჩვენი მშვიდობა. ომის ხანძარი მოედო ქვეყანას. ქუდზე კაციო და ექვსასი ნატანებელი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ბერლინამდე მიჰყვნენ მტერს. ექვსასიდან სამასი აღარ დაბრუნებულა. 300 ნატანებელი 300 არაგველს დიდებით შემოსა ხალხმა. მათ სახელზე აგებული მარმარილოს ძეგლის გარშემო 300 მანდარინის ხე დარგო. თითოეულს თავისი სახელი ჰქვია. მიხვალ და მიგანიშნებენ — ეს ოთხი ძმა გუჯაბიძეები, ესენი — დები გობრონიძეები, შამა-შვილი — ნოე და ვარდენ თაბაძეები არიანო. 14 ხე მიმინოშვილის გვარს ატარებს, ექვსი — გოგოტიშვილისას, ბიძაშვილები გმირული სიკვდილით დაეცნენ მტერთან ბრძოლაში...

მათ შორის, ვინც 9 მაისის ზეიმი ბერლინში გადაიხადა, კოლმეურნეობის ახლანდელი თავკაცი, გივი წითლიძეც იყო. 22 წლის ჭაბუკს ბევრჯერ ჩახედა სიკვდილმა თვალებში, მაგრამ გადარჩა, გადარჩა, რომ ბრძოლაში გამობრძმედილს შრომის დიდების გზებზე გაეყოლა მთელი სოფელი, ყველასათვის ეჩვენებინა, რა შეუძლია კოლმეურნე კაცის შემართებას.

„მეც კოლმეურნეობის მომხრე ვარ...“

ეს არც ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. ნატანების შრომის წითელი დროშის ორდენოსან, ლენინის სახელობის კოლმეურნეობას საბჭოთა კავშირში აკრედიტებული 70 სახელმწიფოს საელჩოთა წარმომადგენლები ესტუმრნენ. მასპინძლობდა მთელი სოფელი. სტუმრებმა, რომ იტყვიან, კოლმეურნეობის ყველა კუთხე-კუნჭულს მოავლეს თვალი. ერთი რომ შრომის სიკეთის ნაყოფს ეძებდა, მეორე გასაკილავს ჩხრეკდა.

სტუმარ-მასპინძელთა განშორების წინ გაიმართა პრესკონფერენცია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე პასუხს აძლევდა ინგლისის, ამერიკის, იტალიის, არგენტინის, ირანის... წარმომადგენლებს. მერე სტუმრებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი. ერთმა მათგანმა აღფრთოვანება ვერ დამალა და გულახდილად განაცხადა: მე კოლმეურნეობის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ აქ ნანახმა სრულიად შეცვალა ჩემი შეხედულება და ამიერიდან მეც კოლმეურნეობას ვუჭერ მხარსო...

ძალა შესწევთ ქადილისა

ნატანების კოლმეურნეობას უვადო სარგებლობაში 4200 ჰექტარი მიწა აქვს. აქედან ჩაი 524 ჰექტარზეა გაშენებული, ციტრუსები — 387 ჰექტარზე, ტუნგის ნარგავებს 74 ჰექტარი ფართობი უჭირავს, 632 ჰექტარი სახნავი მიწებია, ხეხილი გაშენებულია 280 ჰექტარზე, დაფნა — 50 ჰექტარზე, საძოვრებს დათმობილი აქვს 706 ჰექტარი, საკოლმეურნეო ტყეს 218 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხელოვნურ წყალსაცავებს — 127 ჰექტარი და ასე შემდეგ. სოფელში 2 საშუალო და ორი დაწყებითი სკოლაა, ხოლო 4 ბიბლიოთეკის თაროებზე 70 ათასი წიგნია ჩამწკრივებული. სოფელს აქვს ავტოსატრანსპორტო პარკი 30 მანქანით, 33 ტრაქტორით და ორი ჩაის საკრეფი მანქანა. „საქართველოთი“, კეთილმოწყობილი გზა გაყვანილია 170 კილომეტრზე. ნატანებელთა განკარგულებაშია 7 მექანიკური წისქვილი, ერთი სახერხი ქარხანა, სადურგლო სახელოსნოები, კეთილმოწყობილი საავადმყოფო, სასტუმრო, რამდენიმე აფთიაქი, ამბულატორია, საქიმო უბნები, კავშირგაბმულობის განყოფილება, სავაჭრო მაღაზიები. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე აშენებულია ჩაის ფოთლის გადამმუშავებელი და ხეხილისა და ციტრუსების მიმღები ქარხნები. რაც შეეხება მრავალთვალიან ოდა-სახლებს, საკუთარ მსუბუქ ავტომანქანებს, ელექტრონს, გაზს, რადიოს, ტელევიზორს თუ ტელეფონს, ისინი დიდი ხანია დამკვიდრდა ნატანებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საღამოობით სოფელი თავს იყრის კულტურის სასახლეში, რომლის დარბაზი ერთდროულად ათასამდე კაცს იტევს. სპორტიც უყვართ ნატანებელებს; შარშან ამ სოფლის სპორტსმენები რაიონულ შეჯიბრებაში პირველი იყვნენ ფეხბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ჭიდაობაში, ხოლო ხელბურთსა და კალათბურთში მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ნატანებლები საკუთარ გაზეთსაც გამოსცემენ. „ნატანებელი კოლმეურნე“ — ასე ეწოდება მრავალტირაჟიან გაზეთს, რომელიც თვეში სამჯერ გამოდის და სოფლის ავ-კარგს აშუქებს.

ვინ არიან ისინი, ვისაც სიკეთე აბარია და ასე საგულდაგულოდ უვლიან სოფელს? ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, გაგაცნობთ მხოლოდ ზოგიერთს. დარეჯან ტაკიძე, ლოლა გოგოტიშვილი, ლიუდა ხურციძე, ივანე გორგილაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ვასილ ჩავლეიშვილი, თამარ ცენტერაძე, სვეტლანა ნიკოლაიშვილი, ლამზირა ნადირაძე, თინა თევზაძე, ლიზა ნაკაიძე...

კოლმეურნეობაში მცხოვრებ 1600 ოჯახში ერთს ვერ ნახავ, შრომას გაურბოდეს. ამიტომაც არის, რომ 21 კოლმეურნეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის უმაღლესი წოდება, ხოლო 500 კაცს მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებს.

რითი ისახელეს თავი ამ ადამიანებმა? მოვიშველიებ რამდენსამე ციფრს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ჩაის ახალგაზრდა მკრეფავმა სვეტლანა ნიკოლაიშვილმა შარშან 3.500 კილოგრამის ნაცვლად, გაპიროვნებულ 0,4 ჰექტარ ფართობზე, 5240 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ლამზირა ნადირაძემ კი 4200 კილოგრამის ნაცვლად 5122 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა კოლმეურნეობას. გეგმას მთელი ოთხი ათასი კილოგრამით გადააჭარბა ლიზა ნაკაიძემ. სულ კოლმეურნეობაში შარშან მოიკრიფა 3464 ტონა ჩაი, 4500 ტონა ციტრუსი, 487 ტონა ტუნგი, სახელმწიფოს ჩააბარეს 16620 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. გარდა ამისა, კოლმეურნეობის ეკონომიკაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მესაქონლეობისა და მეღორეობის ბრიგადის წევრებმა. საერთო გარჯის შედეგად 1970 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 2 მილიონ 550 ათას მანეთს მიაღწია! რა თქმა უნდა, ნატანებელთა შრომა ჯეროვნადაც დაფასდა. მაგალითად: შალვა პაიჭაძის ოჯახმა შარშან 6.521 მანეთი მიიღო, მედეა სიხარულიძის ოჯახმა კი — 6.833 მანეთი. ისაკ წულუკიძის ოჯახს (კოლმეურნეობაში ორი სულია დასაქმებული) 4.208 მანეთი ერგო. შოფერმა მამია ცენტერაძემ შრომის ანაზღაურების სახით 3028 მანეთი მიიღო. ცოლ-ქმარმა დონარა და შოთა მახარაძეებმა, რომლებიც მანქანა „საქართველოზე“ მუშაობენ, 4 000 მანეთი გამოიმუშავეს.

ოცდამეორე

ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტი გვაქვს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე. მარტო 1958 წლიდან დღემდე ჭარბტენიანი ფართობების ამოსაშრობად 438.000 მანეთი გავიღეთ და 252 ჰექტარი ახალი ფართობი ავითვისეთ, 250 ჰექტარზე ჩავატარეთ სამელიორაციო სამუშაოები, გავიყვანეთ გზები, ავაგეთ კაპიტალური სიდები...

სპეციალიზებული სამშენებლო და საელექტრიფიკაციო ბრიგადების შექმნამ საშუალება მოგვცა შემჭიდროებულ ვადებში ვაშენოთ ისეთი ობიექტები, როგორიც არის საყოფაცხოვრებო კომბინატი, საბავშვო ბაღი, სკოლა თუ სპორტული მოედანი. რა თქმა უნდა, სოფლის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ წარმართავს მის ყოველდღიურ ცხოვრებას. არც ამ მხრივ გვაქვს საქმე ურიგოდ — სამასოცდაათამდე ჩემს თანასოფელს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ყოველწლიურად ბევრ ახალგაზრდას ვგზავნით უმაღლეს სასწავლებლებში, 85 კი წარმოებიდან მოუწყვეტლად ეუფლება აგრონომის, ინჟინრისა თუ ეკონომისტის პროფესიას.

როდესაც ჩვენი სოფლის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, სხვებთან ერთად უნდა დავასახელოთ სოფლის თავკაცები — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იაკობ ბოლქვაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გუჯაბიძე, მთავარი აგრონომი კუკური ნიკოლაიშვილი, ეკონომისტი შოთა ქუტაძე და სხვები.

თავის თავზე კი მაინც არაფერი თქვა. არც ჩვენ გვიკითხავს, რადგან სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გივი წითლიძეს მიეკუთვნა, ყველაზე უკეთ ლაპარაკობს ამ კაცის დამსახურებასა და ღირსებაზე. გივიმ 18 წლისწადი მოახმარა საკუთარი სოფლის სიკეთეს. სოფლის ოცდამეორე გმირი, მართალია უკვე პაპაა, მაგრამ 48 წლისწადი ვაჟკაცისათვის მხოლოდ დასაწყისია დიდი ცხოვრებისა და ასე მხნედ მავალი, მრავალგზის დაამტკიცებს კიდევ, რომ კოლმეურნეობას ადამიანებისათვის სიკეთე, სიხარული, ბედნიერება მოაქვს.


რევაზ მაჭავარიანი
მახარაძის რაიონი,
სოფელი ნატანები.



გივი წითლიძე (შუაში) სოფლის მოწინავე ადამიანებთან ერთად.







სურათებზე: ნატანები დღეს.

გივი თევზაძის ფოტო

9 მაისი — გამარჯვების დღე

ვაზაფხულზე ბევრი ზეიმი გვაქვს, მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული — 9 მაისი, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე. იგი განსაკუთრებულია იმიტომ, რომ დიდ სიხარულთან ერთად, თან ახლავს სევდა, სევდა იმ ადამიანთა გახსენებით გამოწვეული, რომლებიც სამშობლოს დასაცავად წავიდნენ და უკან ვეღარ დაბრუნდნენ.

მათ შორის, ვინც სახელოვნად მოიხადა სამშობლოს წინაშე ვალი და რომელთა სახელებსაც ასე ფრთხილად ვინახავთ, ერთ-ერთი ყველაზე საჩინოა ცნობილი მხედართმთავარი კონსტანტინე ლესელიძე.

დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ კონსტანტინე ლესელიძის თანამებრძოლისა და უახლოესი მეგობრის, გადამდგარი პოლკოვნიკის ლავრენტი გოგატიშვილის წერილს.

მხედართმთავარი კონსტანტინე ლესელიძე

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვები იყო. სპეციალურად მომზადებული და აღჭურვილი გერმანელთა სამთო დივიზიები ჭარბი ძალებით მოადგნენ ჭაღარა კავკასიონის ქედს, ხელთ იგდეს სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილები და დაიწყეს კავკასიონის სამხრეთ ფერდობებით შავი ზღვის სანაპიროსაკენ დაშვება, რათა ხელთ ეგდოთ სოხუმი და შემდეგ ჭუთაის-თბილისის მიმართულებით გაჭრილიყვნენ. შეიქმნა ფაშისტების საქართველოში შემოჭრის უდიდესი საფრთხე. ამ დროს გენერალი კონსტანტინე ლესელიძე იმ კორპუსს მეთაურობდა, რომელიც სოხუმის მიდამოებში იყო განლაგებული. კორპუსი სასწრაფოდ გავიდა ბრძოლის ველზე. ლესელიძემ სხვა ჯარების ნაწილებიც მოიშველია, მათ შორის 344-ე ქართველ მსროლელთა დივიზიაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი სამხედრო სკოლის ამხანაგი პოლკოვნიკი ვანო ქანთარია.

კონსტანტინე ლესელიძის გაბედული და გონებამახვილური ხელმძღვანელობით მტერმა ვერ გადმოლახა კავკასიონი. ეს კი თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა.

მალე გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე 46-ე არმიის სარდლად დანიშნეს. ამან მეტი სამოქმედო ასპარეზი მისცა და უფრო ფართოდ გამოავლინა მისი მხედართმთავრული ნიჭი და უნარი.

კონსტანტინე ლესელიძე შტაბის უფროს გენერალ-მაიორ მიხეილ მიქელაძესთან ერთად შეიმუშავა საქართველოს ტერიტორიიდან მტრის მთლიანად განდევნის გეგმა. მთიანი ზონის რთულ პირობებში მოქმედებისათვის სათანადოდ მომზადების შემდეგ ლესელიძის არმია გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა. ფაშისტური არმიის სიამაყეს — სამთო დივიზიებს სასტიკი დამარცხება აგემა. დიდად დაზარალებულმა მტერმა იკადრა კავკასიონის მთების მიტოვება.

კონსტანტინე ლესელიძე დაიბადა 1903 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ღვარბეთში. ღარიბი გლეხის შვილს ბავშვობა მაინც და მაინც ლაღად არ გაუტარებია.

1921 წელს, საქართველოში ბაბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ჭაბუკი კოტე კომკავშირული საგზურით სასწავლებლად შედის ქალაქ თბილისში ახლად შექმნილ ქართულ სამხედრო სკოლაში, რომელსაც 1922 წელს ფრიადზე ამთავრებს. ამავე სკოლაში დანიშნეს იგი კურსის მეთაურად და მან მრავალი სახელოვანი ქართველი არტილერისტი აღზარდა.

1928 წელს კონსტანტინე გაგზავნეს ქალაქ ლენინგრადში საარტილერიო კურსებზე, რომელიც 1929 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ ლესელიძე ჯერ საარტილერიო დივიზიონს მეთაურობს, შემდეგ კი მე-2 ქართულ საარტილერიო ლეგიონს. მალე უნარიანმა მეთაურმა მე-2 ლეგიონი ერთ-ერთ მოწინავე სანიმუშო საბრძოლო შენაერთად აქცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

1937 წელს კონსტანტინე ლესელიძე მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა. იგი პირველი ქართველი საბჭოთა მეთაური იყო, რომელიც ასეთ დიდ და პასუხსაგებ თანამდებობაზე დაინიშნა ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში.



დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე კონსტანტინე ლესელიძე მძიმე სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაება და მრავალი ოპერატიული თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა.

გერმანელებმა მოსკოვთან დამარცხების შემდეგ მიმართულება შეიცვალეს, სამხრეთისაკენ გამოიხრნენ და საბჭოთა ჭვეყნის დედაქალაქისათვის ზურგიდან დასარტყმელად მოემზადნენ, ამ გეგმის განსახორციელებლად მოწინააღმდეგემ ევროპაში იოლი გამარჯვებით გათამამებული გენერლის გუდერიანის „უძლეველი“ სატანკო არმია ქალაქ ტულას დაუმიზნა. აქ გადაულახავ ბერკად აღმართნენ 50-ე არმიის არტილერისტები. მეთაურმა კონსტანტინე ლესელიძემ ისე განალაგა თავისი ძალები, რომ მოწინააღმდეგის სატანკო ნაწილების ცდა, ტულაში შეჭრილიყვნენ, სამარცხვინოდ ჩაიშალა. გენერალ გუდერიანის არმია უკუიქცა და კონტრიერიშზე გადასულმა საბჭოთა არმიამ მოსკოვიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე განდევნა იგი.

ამ ისტორიულ ბრძოლებში 50-ე არმიის არტილერიის სანიმუშო ხელმძღვანელობისათვის და უმაღლესი მთავარსარდლის დავალების პირნათლად შესრულებისათვის, კონსტანტინე ლესელიძეს 1942 წლის 2 იანვარს არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

დიდი ბრძოლები გადაიხადა კონსტანტინე ლესელიძემ კავკასიონის უღელტეხილებზე და აქ გამოჩენილი მხედართმთავრული ნიჭიერებისათვის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. მისმა არმიამ ზედიზედ გაათავისუფლა მტრის აგან ჩრდილოეთ კავკასიის სოფლები და ქალაქები, მაგრამ ქართველი სარდლის დიდი სამხედრო ნიჭის აყვავება იყო კავკასიაში გერმანელი ოკუპანტების უკანასკნელი სიმაგრის „ცისფერი ხაზის“ გამრღვევი ოპერაციის ჩატარება.

„ცისფერი ხაზის“ მთავარი დასაყრდენი იყო ძლიერად გამაგრებული, ძნელად მისადგომი ქალაქი ნოვოროსიისკი.

მე-18 არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კონსტანტინე ლესელიძემ თავის შტაბთან ერთად შეიმუშავა მეტად ორიგინალური, კომბინირებული საოპერაციო გეგმა, რომლითაც მტერზე დარტყმა ერთდროულად უნდა მომხდარიყო ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან.

მართლაც, 1943 წლის 9 სექტემბერს, როდესაც არმია გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა, ბრძოლაში ერთდროულად ჩაება სახმელეთო ჯარი, საზღვაო და საჰაერო დესანტი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. დიდი მასშტაბის მხედართმთავრისა და სამხედრო ხელოვანის კონსტანტინე ლესელიძის გეგმამ იმედი გაამართლა.

16 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი ნოვოროსიისკი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა აგრეთვე 414-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი.

ამ მნიშვნელოვანი ოპერაციის ოპტატურად წარმართვისათვის კონსტანტინე ლესელიძე სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

1943 წლის 9 ოქტომბერს კი საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს ტამანის ნახევარკუნძული. კავკასიაში არც ერთი ფაშისტი აღარ ჰაჰანებდა.

ამჯერად გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს ქართველ მხედართმთავარს. ამავე დროს კონსტანტინე ლესელიძემ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიხეილ კალინინის მეორე სპეციალური მილოცვა მიიღო.

მერე უკრაინის პირველ ფრონტზე იბრძვის ლესელიძის არმია. ჟიტომირისა და ბერდიჩევის რაიონების განთავისუფლებისათვის არმიის სარდალი ბოგდან ხმელნიცკის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. საბჭოთა არმია თანდათან ანადგურებს მტერს და თავისი მიწა-წყლიდან ერეკება. კონსტანტინე ლესელიძე კვლავ ცხარე ბრძოლებშია და ჩვეული შემართებით იბრძვის.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. თავისი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭის გაფურჩქვნის ზენიტში მოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1944 წლის 21 თებერვალს გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე გარდაიცვალა. ცხედარი გადმოასვენეს მის სათაყვანო თბილისში და დიდი სამხედრო პატივით დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე.

ვაჟკაცობა ქართველმა ხალხმა დიდად დააფასა თავისი ერთგული შვილის სამსახური, გმირის უკვდავსაყოფად ქალაქ თბილისში მისივე სახელობის ქუჩაზე აუგო ბრინჯაოს ძეგლი. სამშობლო არასოდეს დაივიწყებს სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნას.





თბილისის სპორტის სასახლე

სპორტი მრის ჯანმრთელობის, სიძლიერის, სილამაზის საუკეთესო გამომხატველია. ჩვენებურ კაცს მისი სიყვარული საუკუნეების სიღრმიდან მოჰყვება. ლელო, ჭიდაობა, ცხენით ჯირითი თუ სალი კლდეების დაპყრობა სხვებზე უკეთ ეხერხებოდა და აკი მრავალ უცხოელს ათქმევინა კიდეც — ქართველები მკლავმაგარი, მუხლმაგარი ვაჟკაცები არიანო.

ის, რაც სისხლში გვქონდა გამჯდარი, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე კიდევ უფრო დასანახი და ხელშესახები გახდა. სტატისტიკა, ამა თუ იმ ქვეყანაში ყოველ ათას სულ მოსახლეზე რამდენი მსოფლიო ჩემპიონი მოდის, ჯერ არავის შეუდგენია, მაგრამ თუ ვინმეს ასეთი მონაცემები დააინტერესებს, ვფიქრობთ, საქართველოს ვერავინ აჯობებს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია თვალი გადაავლოთ ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთა სიას და იქ იმდენ ქართულ გვარს ამოიკითხავთ, გული სიამაყით აგევსებათ.

ნონა გაფრინდაშვილი, რომან რურუა, რობერტ შავლაყაძე, გივი ჯარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, არსენ მეკოკაშვილი, დავით ციმაკურიძე, შოთა ლომიძე, გურამ საღარაძე, ომარ ფხაკაძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ოთარ ქორქია, გურამ მინაშვილი, ნანა ალექსანდრია, ელენე გოკიელი, ნინო დუმბაძე, კობა წაქაძე, ალექსანდრე მეტრეველი, დიტო შანიძე, ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, ლეგენდარული კლდის ვეფხვი მიხეილ ხერგიანი და სხვები. ყველას ჩამოთვლას გაზეთის მთელი გვერდიც არ ეყოფა!

საქართველოში ყოველი მეოთხე კაცი გაერთიანებულია ფიზკულტურულ კოლექტივში, რომელთა რიცხვმა 7 ათასს მიაღწია.

სპორტსმენთა განკარგულებაშია ასზე მეტი კეთილმოწყობილი სტადიონი, ექვსასამდე კომპლექსური სპორტული ნაგებობა, ფეხბურთის 2000, კალათბურთის 2200, ფრენბურთის 6500 მოედანი, გვაქვს რვაასზე მეტი სპორტული სატანვარჯიშო დარბაზი, სამოცამდე საცურაო აუზი...

აი ფუძე ჩვენი წარმატებებისა და მსოფლიო აღიარებისა.

დღევანდელი ზეიმი ქართველმა სპორტსმენებმაც მრავალი გამარჯვებით დაამშვენეს. წელიწადის უპირველესი ასპარეზობა — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა კი წინ არის. როგორც ყოველთვის, ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებულები შინ მჭერდამშვენებულნი დაგვიბრუნდებიან და კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ, რომ ქართველები მართლაც მკლავმაგარი, მუხლმაგარი ვაჟკაცები არიან...

მკლავმაგარნი, მუხლმაგარნი...

სპორტული ქრონიკა

სამი ჩემპიონი

● ლიპეცკში გაიმართა იუნიორ სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. საქართველოს სამბისტებმა 3 პირველი, 1 მეორე და 2 მესამე ადგილი დაიკაუთრეს. ჩემპიონები გახდნენ ალეთხუცაშვილი, ხარშილაძე და ქამხაძე.

რიგის ტურნირის ლაურეატი

● რიგაში რამდენსამე დღეს მიმდინარეობდა ევროპის, აზიისა და ამერიკის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი. თბილისელმა მოსწავლემ 13 წლის ნინა დრონოვამ ყველას აჯობა თავისუფალ ვარჯიშსა და ორძელზე.

თამარ კაჰარავა — თბილისის ჩემპიონი

● ჰალრაპში თბილისის ჩემპიონის ტიტული ქალთა შორის მოიპოვა 18 წლის თამარ კაჰარავამ. თამარი კარგა ხანია წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირში. იყო თბილისისა და საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონი, წელეულს კი ლენინგრადში „ლოკომოტივის“ მოჭადრაკე ქალიშვილთა საკავშირო ჩემპიონატში I ადგილი დაისაკუთრა.

გამარჯვება გულგარეთში

● გულგარეთის ქალაქ იამბოლში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში ოქროს მედალი მოიპოვა ჭართველმა მოჭიდავემ გივი ყვარელაშვილმა.

გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა

● თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე საინტერესო ასპარეზობა გაიმართა. საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ მეტრეველი, კაკულია და ახალაძე, საბჭოთა კავშირის ნაკრებში შედიოდნენ კოროტკოვი, ვოლკოვი და ლიხაჩოვი.

პირველ დღეს კაკულიამ დაამარცხა ვოლკოვი, მეტრეველმა კი კოროტკოვს სძლია. მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც კოროტკოვმა კაკულიასთან გაიმარჯვა, ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები — მეტრეველი და ლიხაჩოვი. საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრების შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 3:1 ქართველ ჩოგბურთელთა სასარგებლოდ.

წაგება საკუთარ მოედანზე

● თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები 2 მაისს საკუთარ მოედანზე შეხვდნენ ერევნის „არარატს“. სომეხი სპორტსმენები, რომლებიც წლეულს გულშემატკივრებს კარგი თამაშით ახარებენ, ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათ თბილისელთა კარში ოთხი ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი არც ერთი არ მიუღიათ. შეგახსენებთ, რომ ქართველი ფეხბურთელები წლეულს მეორედ მარცხდებიან შინ.

დიადი წლების ქრონიკა

1937

1 V. თბილისში გაიხსნა ბავშვთა საავადმყოფო.

15-21 V. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობა.

29 V — 15 VI. ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

6 XI. დამთავრდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის აგება.

24 XII. დაიწყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი.

1938

1 VI გაიხსნა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და სოხუმს შორის.

15-19 VI. გაიმართა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობა.

8-11 VII. გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

29 XII. საექსპლოატაციოდ გადაიცა ტყვარჩელის ელექტროსადგური.

1939

24 I. ამუშავდა ენგურის ჰაღალდის ფაბრიკა.

26 II. მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობამ.

მაისში — გაიხსნა საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის ახალი დიდი კომბინატი „კომუნისტი“.

1 IX. გაიხსნა რუსთაველის სახელობის თბილისის აკადემიური თეატრალური ინსტიტუტი.

30 X. ამუშაკდა ჭუთაისის ლითოფონის ქარხანა.

1 XII მწყობრში ჩადგა თბილისის პირველი თბოელექტროსადგური.

1940

1 I. ამუშავდა აჭარისწყლის ჰესი.

8 I. დამთავრდა თბილისის საინსტრუმენტო კომბინატის მშენებლობა.

24 II. თბილისში გაიხსნა ცირკის ახალი შენობა.

15-19 III. მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა.

22 VI. აღინიშნა აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი.

28 X. აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი.

ნოემბერში ამუშავდა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა.

1941

3 I. დამთავრდა მარტყოფის არხის მშენებლობა.

10 II. დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

24 II. გაიმართა საქართველოს უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი.

2 V. თბილისში გაიხსნა პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე.

23 VI. დიდი სამამულო ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით დაიწყო სამხედრო ვალდებულ მოქალაქეთა მობილიზაცია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


სიმღერა საქართველოზე

შოთა მილორავას მუსიკა

იოსებ ნონეშვილის ტექსტი

ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი ქრიან, —
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!
„მრი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად თვლიან...
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!

მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვთ.
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!
მოშავლის დროშას შეხარის,
მოგავლის დროშის ფრიალს.
არის ასეთი ქვეყანა, —
მას საქართველო ჰქვია!



გულწრფელი სტრიქონები

ამ საზეიმო დღეებში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია განსაკუთრებით ბევრ წერილს იღებენ. ავტორები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები, ჩვენს დიდ სიხარულს თავიანთ სიხარულსაც უერთებენ, ამაყობენ სამშობლოს ბედნიერებითა და წინსვლით, გვილოცავენ ნაზვარსაუკუნოვან იუბილეს.

„ბილოცავთ საქართველოს 50 წლის იუბილეს. ვუსურვებ ჩვენს მშობელ მხარეს აყვავებას, წარმატებებს ყოველ საქმეში. აუწერელია ის გულწრფელი განცდა, რომელსაც განვიცდი საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური წინსვლის გამო. ამ 50 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა ძალიან განვითარდა და გაუსწრო ევროპის მოწინავე ქვეყნებს. რა თქმა უნდა, ასეთი დაწინაურება ხალხის, მთავრობისა და პარტიის დაუღალავი შრომის ნაყოფია.

კიდევ და კიდევ ვისურვებ საქართველოს და მის მკვიდრთა დღეგრძელობას, გამრავლებას, გაფურჩქვნას.

მარად თქვენი კეთილისმსურველი
ევსევი ახვლედიანი.
ავსტრალია“.

საფრანგეთიდან კი ჩვენი თანამემამულე პეტრე ჭეტიაშვილი გვიგზავნის ლექსს „ჰიმნი სამშობლოს“. ავტორი ერთნაირი სიყვარულით უმღერის განახლებულ თბილისს, მცხეთას, გორსა თუ ქუთაისს... „ბედნიერსა და კეკლუც“ საქართველოს და დასძენს:

„სადაც არ უნდა ვიყვე,
მე შენ არ გაგეყრები!“


საბჭოთა საქართველოსადმი სიყვარულს ასევე ლექსით გადმოგვცემს ისრაელში მცხოვრები ჩვენი გაზეთის მკითხველი **ხანა რიჟინაშვილი.** ქართული ნანით გაზრდილს საქართველოს სიკეთე მახარებს. მისი აზრით, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს ზღაპრული კუთხე, ვისაც საქართველოს წყალი და ღვინო დაულევია, ვერასოდეს დაივიწყებს მას, მისი ხატება სულ თვალწინ ექნებაო.

აი რას იწერება ამერიკის შეერთებული შტატებიდან **დიმიტრი მახარაშვილი:** „ავერ 200 წელიწადია რაც ქართველთა ოჯახები, ქალი და ბავშვი, მოხუცი თუ ახალგაზრდა არ აუწოწკინებია შემოსეულ მტერს. აი რას ნიშნავს ერთიანობა, ერთ დიდ მეგობრულ ოჯახში ცხოვრება. მახარებს შენი ბედნიერება, გამარჯვებები, ჩემო საყვარელო სამშობლო...“

ავსტრალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე **შალვა გოგოლაშვილი,** რომელსაც „სამშობლოს“ მკითხველი სულ რამდენიმე თვის წინათ გავეცნო, ჩვენი სკოლისა და წინსვლის დიდი ქომაგი გახდა. მას ყველაფერი სიამაყის გრძნობას ჰგვრის, რაც მის შორეულ სამშობლოს ეხება: — ჩემი ოჯახის წევრებსა და მე გვჭონდა ბედნიერება გვენახა კიდევ ერთი თანამემამულე, რომელიც სიდნეიში იმყოფებოდა. ეს გახლდათ ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. შევხვდით მას და დავესწარით მის რამდენსამე თამაშს. იგი შესანიშნავი სპორტსმენია და მაყურებლებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მან დაიპყრო ჩვენი გაზეთები. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ვინახულებ ჩემს სამშობლოს, მე თვითონ ვნახავ იმ პროგრესსა და ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ამ უკანასკნელ წლებში და რომელიც ასე ეამაყება ყოველივე ჩვენგანს...

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა სტრიქონები, საბჭოთა საქართველოს სიყვარულით, რომ არის გამთბარი და ასე კეთილადაც ჟღერს, სავსებით კანონზომიერია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია იუბილარის სახელზე მოსულ მრავალ მოლოცვას უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა მოლოცვებიც დავუმატოთ.

სარედაქციო ფოსტიდან



ერეკლეს ძეგლი თელავში

საქართველოში ყველამ ზეპირად იცის ეს ლამაზი მუხანაბი:

„ჩვენი ბატონი ერეკლე,
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩაცვია,
გაჰკრა ხელი და გახია“.

ეს სტრიქონები ხალხურია და ამგვარი ლექსები მრავლად შექმნა ქართველმა ხალხმა, რომელიც ყოველთვის ღრმა პატივისცემით იხსენიებს ერეკლე მეფის გმირობასა და მამულისათვის თავდადებას.

დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის შემდეგ საქართველოს არც ერთ მეფეს არ რგებია ხალხის ისეთი სიყვარული, პატივისცემა და ქებათაქება, რამდენიც ერეკლე მეორეს. გარდა იმისა, რომ იგი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე იყო და საქართველოსი თუ ამიერკავკასიის პოლიტიკური მესაჭე, ხალხის მეხსიერებას შერჩა როგორც საყვარელი გმირი, სწორუპოვარი მეომარი, უშიშარი და ნიჭიერი სარდალი, კაცი, რომელიც ერის მომავალზე ზრუნვაში დაიფერფლა. მისი მეფობის დროს ქართველმა ხალხმა არაერთხელ განიცადა მტრებზე გამარჯვების სიხარული.

ასეთი დარჩა „პატარა კახი“ ქართველების ხსოვნაში. და აი მადლიერმა შთამომავლობამ ამ დღეებში კახეთის უძველესი ქალაქის, თელავის ციხის კედლებთან აღმართა სახელოვანი წინაპრის, ორი ერის — ქართველი და რუსი ერების მარადიული კავშირის ფუძემდებლის, ერეკლე მეორის დიდებული მონუმენტი. XVIII საუკუნის დამლევს მის მიერ ხელმოწერილმა საქართველოს და რუსეთის კავშირის ხელშეკრულებამ დასაბამი მისცა დიდ მეგობრობას, რომელმაც დროის ყოველგვარ მკაცრ გამოცდას გაუძლო და მშვიდობა და აყვავება მოუტანა პატარა ქვეყანას.

შემაღლებულ ადგილზე, ძველი თელავის ციხის ფონზე დადგმული თითქმის 8-მეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება ასახავს ამხედრებულ მეფეს. მისი ფიგურა გამოხატავს სიდიადესა და სიბრძნეს, ხოლო წინ გაშვერილი მარჯვენა, რომელშიც დახრილი ხმალი უჭირავს, თითქოს მშვიდობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებს.

ამ შესანიშნავი ქანდაკების ავტორია მერაბ ბერძენიშვილი, რომელმაც შეძლო თავის ნამუშევარში გამოეხატა ქართველების დიდი სიყვარული და პატივისცემა სახელოვანი წინაპრისადმი.

იოსებ დავითაშვილის ფოტო

სიმღერებით კანადაში

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს (ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე) მრავალჯერ მოუხიბლავს და დაუტკბია მაყურებელი. ამ უძველესმა ანსამბლმა ბევრჯერ შემოიარა ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ქალაქები, იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და პოლონეთში. ამჟამად კი საგასტროლო გზებმა იგი კანადაში ჩაიყვანა.

საქართველოს სახალხო მხატვარ ფარნაოზ ლაპიაშვილის ესკიზების მიხედვით შეკერილ კოსტიუმებში გამოწყობილი ანსამბლის 70 წევრი კანადელებს გააცნობს ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს საგასტროლო პროგრამაში შეტანილი აქვთ პოპულარული სიმღერები: „ჩაკრულო“, „ოდოია“, „ხასანბეგურა“, „ციცინათელა“, „სულიკო“; ცეკვები: „მთიულური“, „საჭორწილო“, „მწყემსური“, „სიმდი“ და სხვა.

ანსამბლი კონცერტებს გამართავს კანადის დედაქალაქ ოტავაში, შემდეგ მონრეალში, ტორონტოში, კვებეკში, ვინიპეგში, ედმონტოში, ვიქტორიაში.

გასტროლები შორეულ კანადაში თვენახევარს გასტანს.

რედაქტორი
ვასტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.